დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

#CGL/EL/SME-001/2018-1

ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც გამოდიან შრომით ან სხვა სახის სამართალურთიერთობაში სხვა ფიზიკურ პირთა დამსაქმებლის სტატუსით, მათ მიერ დასაქმებულ პირთათვის ან მათი ქონებისათვის მიყენებული ზიანის საფუძველზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველსა და დამზღვევს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი "-ს მიერ მიღებულია წინამდებარე დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ხსენებული ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რაც მოიცავს შემდეგს:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ზოგიერთ ტერმინს გააჩნია ამ მუხლში ასახული მნიშვნელობა:

1.1.1. წინამდებარე პირობები ან პირობები _ წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. პირობები მიღებულია და გამოიყენება აღნიშნული კატეგორიის დაზღვევის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების პირობები;

1.1.2. დამსაქმებელი _ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სხვა ფიზიკურ პირთან, მუშაკთან დამყარებული აქვს შრომითი ან სხვა სახის სამართალურთიერთობა (ნარდობა, დავალება და სხვა), რომლის საფუძველზედაც მუშაკი ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და, საიდან გამომდინარეც მუშაკის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ან მისი ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას დამქირავებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, გამოხატული ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში;

1.1.3. მუშაკი _ ფიზიკური პირი, რომელსაც დამსაქმებელთან დამყარებული აქვს შრომითი ან სხვა სახის სამართალურთიერთობა (ნარდობა, დავალება და სხვა), რომლის საფუძველზეც იგი ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და, რომლის საფუძველზედაც მუშაკის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ან მისი ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას დამქირავებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, გამოხატული ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში; აგრეთვე, დაზღვევის პოლისით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, წინამდებარე პირობების მიზნებისათვის, მუშაკად ჩაითვლება ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც თუმცა არ წარმოადგენს მუშაკს მოცემული პუნქტის შესაბამისად, მაგრამ განსაზღვრული მიზნით იმყოფება დამზღვევთან ურთიერთობაში, რომლის საფუძველზეც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან (სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკანტი, სტაჟორი, დამკვირვებელი და სხვა)

1.1.4. მზღვეველი _ სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ";

1.1.5. დამზღვევი _ დამსაქმებელი, რომელთანაც დადებულია დაზღვევის ხელშეკრულება;

1.1.6. დაზღვევის ხელშეკრულება _ ხელშეკრულება დამსაქმებელსა და მზღვეველს შორის, რომლის მიხედვითაც დაზღვეულია დამსაქმებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა წინამდებარე პირობების შესაბამისად;

1.1.7. პოლისი _ ეს არის მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად, რომელიც გადაეცემა დამზღვევს და ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებს. ამასთან, პოლისში დაფიქსირებულ მონაცემებსა და წინამდებარე პირობების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პოლისს;

1.1.8. დამზღვევის პასუხისმგებლობა _ დამსაქმებლის წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის (ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მათი უფლებამონაცვლეების) წინაშე, რაც გამოწვეულია მუშაკის მიერ სამსახურებრივი ან სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების პროცესში მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ან მისი ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, გამოხატული ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში;

1.1.9. დაზღვევის მოქმედების პერიოდი _ ეს არის პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

1.2. ამ მუხლში განსაზღვრული ცალკეული ტერმინების განმარტება არ არის ამომწურავი და პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტერმინების ცალკე განმარტებასაც, რა დროსაც კონკრეტულად განმარტებული ტერმინები პირობების შინაარსის დადგენისას გამოიყენება სწორედ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული მნიშვნელობით;

1.3. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუკი პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, ასეთი არსებობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობაში;

მუხლი 2. დაზღვევის ობიექტი

2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება დამზღვევის ვალდებულებაში აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მუშაკს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების, ასევე მისი პირადი ქონებისათვის ზიანის მიყენების შედეგად და/ან ზემოთალნიშნულ ზიანთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები;

2.2. წინამდებარე დაზღვევის პირობებში მოხსენიებულ "პირად ქონებად" მიიჩნევა მხოლოდ მუშაკის პირდაპირ მფლობელობაში/გამგებლობაში არსებული ნივთი, მიუხედავად ამ ნივთის მესაკუთრის ვინაობისა (მაგრამ არა ისეთი ქონება, რომელიც გადაცემული ჰქონდა მუშაკს პირდაპირ მფლობელობაში დამსაქმებლის მიერ), ინსტრუმენტები, აპარატურა, სხვა ნივთები, რომელიც გამოიყენება სამუშაოს შესასრულებლად. პირად ქონებად მიიჩნევა აგრეთვე ყველა ის ქონება (წინამდებარე პირობებით დადგენილი გამონაკლისების გარდა), რომელიც თუმცა არ გამოიყენებოდა სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ დაზიანდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში და მუშაკის მიერ მისი ქონა ზიანის დადგომის მომენტში საჭიროებას შეადგენდა;

მუხლი 3. სადაზღვევო შემთხვევები. სადაზღვევო რისკები

3.1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მუშაკის ან კანონმდებლობის შესაბამისად მისი უფლებამონაცვლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაზღვევის მოქმედების პერიოდში დამზღვევისათვის საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზიის წარდგენის საფუძველზე დამზღვევის ვალდებულების წარმოშობა მუშაკის მიმართ აუნაზღაუროს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ზიანი, კერძოდ ის ზიანი:

3.1.1. რომელიც მიადგა მუშაკს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად და

3.1.2. რომელმაც ზიანი მიაყენა მათ სიცოცხლეს/ჯანმრთელობას ან გამოიწვია მათი პირადი ქონების დაზიანება/განადგურება წინამდებარე პირობების დებულებების შესაბამისად.

3.2. წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვევის ხელშეკრულების მიზნებისათვის უბედურ შემთხვევად ჩაითვლება:

3.2.1. *სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში*: ტრავმები, მათ შორის სხვა პირის მიერ მიყენებული სხეულებრივი დაზიანების შედეგად მიღებული, მწვავე მოწამვლა, სითბური დარტყმა, დამწვრობა, მოყინვა, დახრჩობა, ელექტროდენის დარტყმა, მეხის დაცემა, აფეთქების, ავარიის, შენობის, ნაგებობის ან კონსტრუქციის ნგრევის, სატრანსპორტო უბედური შემთხვევების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, სხვა საგანგებო სიტუაციის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებები, როდესაც დამტკიცებულია დამსაქმებლის ბრალი;

3.2.2. *პირადი ქონების დაზიანების შემთხვევაში: პირადი ქონების დაზიანება ან განადგურება, რაც გამოწვეულია* დამსაქმებლის ბრალით დამდგარი შემდეგი ხდომილებების შედეგად:

ა/ ხანძარი;

ბ/ აფეთქება;

გ/ მესამე პირთა კანონსაწინააღმდეგო ან/და ბრალეული ქმედებები;

დ/ მექანიკური დაზიანებები.

3.3. უბედური შემთხვევა მიიჩნევა დამქირავებლის ბრალით დამდგარად, თუ აღნიშნული მოხდება დამქირავებლის მიერ შრომისათვის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების შექმნის ვალდებულების უხეში დარღვევის შედეგად (შრომის, უსაფრთხოების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის დაცვის წესების შეუსრულებლობით და ა.შ.).

3.4. მზღვეველი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება რომელიმე Mმუშაკის მიერ სხვა მუშაკის მიმართ სამუშაო დროს განხორციელებული გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული გახდება დამსაქმებლის პასუხისმგებლობის საფუძველი.

3.5. თუ მუშაკისათვის დაზიანება მიყენებულია მაღალი საფრთხის წყაროს ზემოქმედებით, მზღვეველის ვალდებულება არ დადგება, თუ დამტკიცდება, რომ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის განზრახი ქმედების შედეგად, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგადაც;

3.6. წინამდებარე პირობების თანახმად დაზღვევას ექვემდებარება ის სადაზღვევო შემთხვები, რაც გამოწვეულია წინამდებარე პირობების 3.1. მუხლით განსაზღვრული შემთხვევებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;

მუხლი 4. გამონაკლისები

4.1. მზღვეველი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს ზიანის იმ მოცულობაზე, რომელიც ექვემდებარება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ ანაზღაურებას სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე;

4.2. წინამდებარე პირობების თანახმად დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება:

4.2.1. ჯარიმების, სანქციების და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდის ვალდებულებაზე, რომლის გადახდაც დამზღვევს ეკისრება იმ სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ შრომის დაცვის, ასევე შრომის კანონმდებლობის შესრულების პროცესთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ნორმების შესრულების ზედამხედველობასა და კონტროლს, და ასევე სახელმწიფო დაწესებულებების ან სხვა მესამე პირების მიერ დამზღვევის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნებზე და შესაბამის პასუხისმგებლობაზე, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევას, მაგრამ გულისხმობს არა მუშაკისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

4.2.2. დაზარალებულის მიერ იმ სამუშაოების შესრულების პროცესში წარმოშობილ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით, წერილობითი თანამდებობრივი მითითებებით და მოქმედი კანონმდებლობით;

4.2.3. იმ მუშაკისათვის მიყენებული ზიანის საფუძველზე წარმოშობილი დამზღვევის ვალდებულებაზე, რომლებიც დამზღვევმა დაიქირავა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში მუშაკის სამუშაოზე მიღება არ მოხდებოდა;

4.2.4. დამზღვევის პასუხისმგებლობას, რაც შეიძლება დადგეს მუშაკის ფსიქიკური ტრავმების და დეპრესის, გონებრივი და ფსიქიური მოშლილობის, შოკის, რასობრივი და სქესობრივი დისკრიმინაციის, ცილისწამებისა და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის, აგრეთვე უკანონო დაკავების ან დაპატიმრების საფუძველზე;

4.2.5. დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, რაც გამოწვეულია მუშაკისათვის მორალური ზიანის მიყენებით;

4.2.6. ნებისმიერი სახის დაავადებების შედეგად გამოწვეული ზიანის საფუძველზე წარმოშობილ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, პროფესიული და შრომის არასასურველი პირობებით გამოწვეული დაავადებების ჩათვლით, მაშინაც კი, როდესაც ავადმყოფობა ან/და დაავადება გამოწვეულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ერთჯერადი ზემოქმედების შედეგად;

4.2.7. დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, რაც გამოწვეულია მწერებისა და ქვეწარმავლების ნაკბენებით ან სხვა გზით ინფიცირებით, ცხოველების მიერ მიყენებული სხეულებრივი და ფსიქიკური ზემოქმედებით;

4.2.8. იმ ზიანის საფუძველზე წარმოშობილი დამზღვევის ვალდებულებაზე, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი სიკვდილით, თვითმკვლელობით ან მუშაკის მიერ განზრახი ბრალით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად;

4.2.9. დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, რაც გამოწვეულია იმ ზიანის საფუძველზე, რომელიც მიადგა ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს, ძვირფასეულობებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ძვირფას ქონებას;

4.2.10. ომის, შემოსევის, უცხოელი მტრის ქმედებების, სამამრი მოქმედებების ან ომისმაგვარი ოპერაციების (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო მღელვარების, გაფიცვების, ამბოხების, აჯანყების, ბუნტის, ტერორიზმის, მიწისძვრის, წყალდიდობის, ქარიშხლის, გრიგალის ან სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად მიყენებული ზიანის საფუძველზე წარმოშობილ დამზღვევის ვალდებულებებზე;

4.2.11. იმ ზიანის საფუძველზე წარმოშობილი დამზღვევის ვალდებულებაზე, რომელიც გამოწვეულია მაიონიზირებელი გამოსხივებისა და რადიაციის ზეგავლენით;

4.2.12. სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული იმ ზიანის საფუძველზე წარმოშობილი დამზღვევის ვალდებულებაზე, რომელიც გამოწვეულია ასბესტის მოპოვებით ან გადამუშავებით ან ასბესტის ან მისი ნაწარმის წარმოებით, ასევე, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზმზე ასბესტის ზემოქმედებით;

4.2.13. მესამე პირების (მათ შორის სხვა მუშაკების) მხრიდან მუშაკის პირადი ქონების დანაშაულებრივი ხელყოფით გამოწვეულ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე;

4.2.14. მზღვეველის ვალდებულება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის განმაპირობებელი გარემოებები გამოვლინდა (მათი დადგომის თარიღის მიუხედავად) და მზღვეველს სათანადო განაცხადით მიემართა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან ოთხმოცდაათი (90) კალენდარული დღის შემდეგ.

მუხლი 5. სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

5.1. სადაზღვევო თანხა არის მხარეთა მიერ დაზღვევის პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება, ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ოდენობის შესაბამისად;

5.2. მხარეთა შეთანხმებით პოლისში შეიძლება დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში განისაზღვროს მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გადასახდელ ზღვრულ ოდენობას 5.3. მუხლით განსაზღვრულ ფარგლებში;

5.3. მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მზღვეველი მიუთითებს ანაზღაურების ლიმიტის შესახებ ზუსტ მონაცემებს პოლისში შემდეგი პარამეტრებით:

5.3.1. ლიმიტი თითოეული სახის რისკისათვის;

5.3.2. ლიმიტი თითოეული/ცალკეული სადაზღვევო შემთხვევისათვის;

5.3.3. ლიმიტი თითოეული/ცალკეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად და თითოეული დაზარალებულისათვის;

5.4. მხარეთა შეთანხმებით მზღვეველი მიუთითებს დაზღვევის პოლისში ფრანშიზას, რაც გულისხმობს სადაზღვევო თანხის იმ ოდენობას, რაც აკლდება მთლიან ასანაზღაურებელ თანხას;

5.5. ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის ამ მუხლით დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

მუხლი 6. სადაზღვევო პრემია

6.1. სადაზღვევო პრემია (სადაზღვევო შესატანი) წარმოადგენს გადასახადს, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს წინამდებარე პირობებით, შეთანხმებითა და დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

6.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად ან განსაზღვრული პერიოდულობით. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა მიერ პოლისის გაფორმების დროს. ამასთან დაზღვევის პოლისში მხარეები განსაზღვრავენ პერიოდულად გადახდის კონკრეტულ წესს, ვადებსა და სხვა არსებით პირობებს. პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში დაზღვევის პოლისის მოქმედება შეჩერდება პოლისით გათვალისწინებული გადახდის დღის შემდგომი დღის ოცდაოთხ საათზე და დამზღვევის პასუხისმგებლობა ყველა იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროის განმავლობაში, რომელშიც დაზღვევა შეჩერებული იყო, არ ექვემდებარება ანაზღაურებას. დაზღვევის პოლისის მოქმედება განახლდება დამზღვევის მიერ საპრემიო დავალიანების გადახდისთანავე.

მუხლი 7. დაზღვევის მოქმედების არეალი

7.1. დაზღვევის მოქმედება, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული საფუძვლებისა და წინაპირობებების გათვალისწინებით, ვრცელდება შემდეგ ტერიტორიისა და დროის ფარგლებში დამდგარი ზიანით გამოწვეულ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე:

7.1.1. იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ჩვეულებრივ მოქცეულია დამსაქმებლის მიერ განხორციელებული სამუშაო პროცესი, ან სხვა სამუშაო ადგილზე სამუშაო დროის, მათ შორის დადგენილი შესვენებების განმავლობაშიც. ასევე ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრული იყო მუშაკის მიერ სამუშაოს შესრულება;

7.1.2. მივლინებების დროს და ასევე ადმინისტრაციის დავალებით რაიმე მოქმედებების განხორციელების დროს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც განსაზღვრული იყო მუშაკის მივლინება ან მის მიერ დავალების შესრულება. დაზღვევა არ გავრცელდება იმ ტერიტორიაზე დამდგარი ზიანით გამოწვეულ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, სადაც მუშაკი შესასრულებელი სამუშაოს/დავალების შინაარსის გათვალისწინებით არ უნდა ყოფილიყო ზიანის დადგომის მომენტისათვის;;

7.1.3. სამსახურში შინიდან წასვლის ან სამსახურიდან შინ დაბრუნების პროცესში დამსაქმებლის კუთვნილი ან დამქირავებლის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ მართვადი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად გამოწვეული ზიანით გამოწვეულ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე;

7.1.4. სამუშაო დროს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან ფეხით სიარულის დროს დამდგარი ზიანის საფუძველზე წარმოშობილი დამზღვევის პასუხისმგებლობაზე, თუ ტრანსპორტით გადაადგილების მიზანი უშუალოდ იყო დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან ან/და სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება დაკავშირებულია აღნიშნულ გადაადგილებასთან;

7.1.5. სამუშაო დროის განმავლობაში საკუთარი მსუბუქი ავტომანქანის ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანით გამოწვეულ დამზღვევის პასუხისმგებლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დამსაქმებლის წინასწარი წერილობითი ნებართვა საკუთარი სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი მგზავრობის მიზნით გამოყენებაზე (აღნიშნული ფორმდება Mმუშაკის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებაზე დამსაქმებლის წერილობითი ნებართვის სახით).

მუხლი 8. დაზღვევის ხელშეკრულება

8.1. წინამდებარე პირობების შემცველი დაზღვევის ხელშეკრულება ფორმდება დამზღვევისათვის ამ უკანასკნელის წერილობით განაცხადის საფუძველზე მზღვეველის მიერ ხელმოწერილი დაზღვევის პოლისის და მასზე დართული წინამდებარე პირობების გადაცემის გზით (სადაც ასევე ასახული უნდა იყოს წინამდებარე პირობების თავდაპირველ ვარიანტში შესული ცვლილებების რეკვიზიტებიც);

8.2. დაზღვევის პოლისის გაცემის საფუძველზე დასტურდება დაზღვევის ხელშეკრულების დადება. მხოლოდ პოლისის არსებობის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ წინამდებარე პირობებითა და პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

8.3. დაზღვევის მოქმედების პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში დამზღვევს წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაეცემა დუბლიკატი (სათანადო გრიფით, რომელიც ადასტურებს, რომ პოლისი დუბლირებულია), რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემებიც უცვლელი რჩება და, რის შემდეგაც დაკარგული პოლისი ითვლება ძალადაკარგულად და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

მუხლი 9. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და კონფიდენციალობა

9.1. მზღვეველი ვალდებულია გააცნოს და გადასცეს დამზღვევს წინამდებარე დაზღვევის პირობები;

9.2. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის პოლისის გაცემამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მის შემდეგაც მოითხოვოს დამზღვევისაგან შემდეგის წარმოდგენა:

9.2.1. იმ ბანკის ცნობა (ან სხვა სარწმუნო წერილობითი საბუთი), რომელშიც დამზღვევს გახსნილი აქვს ანგარიში და რომელიც ადასტურებს დამზღვევის ფულადი საშუალებების მფლობელობას;

9.2.2. სხვა ნებისმიერი ისეთი დოკუმენტი მზღვეველის შეხედულებისამებრ, რომლებიც მზღვეველის აზრით შეიძლება იძლეოდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას;

9.3. დამზღვევი ვალდებულია დაზღვევის გაფორმებისას შეატყობინოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა იქონიოს გავლენა სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის შეფასებაზე;

9.4. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მზღვეველს დაზღვევის პოლისის გაცემის დროს მზღვეველისათვის შეტყობინებულ გარემოებებში მისთვის ცნობილი ცვლილებების ან მანამდე არსებული მისთვის უცნობი, ახლად წარმოშობილი ან/და ახლად გამოვლენილი გარემოებების შესახებ, თუ აღნიშნული გარემოებები ზრდიან სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკს. ინფორმაციის მიწოდების ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება ვრცელდება ყველა იმ ფაქტორთან მიმართებაში, რასაც შეუძლია გავლენა იქონიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკის ხარისხზე, ანაზღაურების ოდენობაზე ან/და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებზე;

9.5. სადაზღვევო შემთხვევის ან იმ გარემოებების დადგომისას, რომლებმაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიონ სადაზღვევო შემთხვევის/დამზღვევის პასუხისმგებლობა, აგრეთვე მუშაკის ან მესამე პირისაგან პრეტენზიის (სასარჩელო განცხადების) მიღებისთანავე, დამზღვევი ვალდებულია:

9.5.1. მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია გამოძიების, სასამართლო განხილვისა და სხვა ფაქტების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ შემთხვევასთან;

9.5.2. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს გაუჩნდება შესაძლებლობა მოითხოვოს ანაზღაურების რეგულარული გადახდის შეწყვეტის ან მისი ოდენობის შემცირების შესაძლებლობა, აცნობოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა აღნიშნული გადახდების შეწყვეტის ან მათი შემცირების მიზნით;

9.6. დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია მზღვეველს იმავე საგანზე სხვა მზღვეველთან დაზღვევის არსებობის შესახებ;

9.7. მზღვეველი ვალდებულია არ გაახმაუროს ინფორმაცია დამზღვევის, მოსარგებლის, მათი ჯანმრთელობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან/და, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებისათვის;

9.8. მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედვადა მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან;

მუხლი 10. კონტროლის უფლება

10.1. მზღვეველი უფლებამოსილია მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს და სასურველი პერიოდულობით დაათვალიეროს დამზღვევის ტერიტორია და შენობები შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემების ორგანიზაციის შეფასების მიზნით. ხოლო დამზღვევი ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს მზღვეველის მიერ ამ უფლების დაუბრკოლებლად განხორციელებისა და შესაბამისი სწორი სურათის შესაქმნელად სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის მოცულობასთან დაკავშირებით;

10.2. სადაზღვევო შემთხვევის ან იმ გარემოებების დადგომისას, რომლებმაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიონ სადაზღვევო შემთხვევის/დამზღვევის პასუხისმგებლობა, აგრეთვე მუშაკის ან მესამე პირისაგან პრეტენზიის (სასარჩელო განცხადების) მიღებისთანავე, დამზღვევი ვალდებულია საშუალება მისცეს მზღვეველის ექსპერტებს შეისწავლონ საწარმოში შრომის პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს უბედური შემთხვევა;

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1. თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იგი გაიცემა ერთი წლის ვადით;

11.2. დაზღვევა შედის ძალაში დაზღვევის პოლისში მითითებული თარიღიდან, თუმცა მზღვეველი არ აგებს პასუხს და არ წარმოეშობა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული არც ერთი ვალდებულება იმ სადაზღვევო შემთხვევაზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ პრემიის ან პრემიის პირველი შესატანის (პერიოდულად გადახდის შემთხვევაში) გადახდამდე, გარდა პოლისით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

მუხლი 12. ცვლილება დაზღვევის პირობებში

12.1. დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე. ასეთი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება დამზღვევისათვის, თუკი იგი არ გაასაჩივრებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ინფორმაციის მიღებიდან თოთხმეტი (14) კალენდარული დღის ვადაში;

12.2. დაზღვევის პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე დამზღვევის უარი აძლევს მზღვეველს უფლებას გააუქმოს დაზღვევის პოლისი აღნიშნული ცვლილებების დადგომის მომენტიდან;

12.3. იმ გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, რაც გავლენას ახდენს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის რისკის ხარისხის ცვლილების, დაზღვევის მოცულობის, დაზღვევის პოლისის მოქმედების ვადის ან სადაზღვევო პრემიის მაჩვენებლების ცვლილების გამო, მზღვეველი დამზღვევს გადასცემს მის მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით დადასტურებული პოლისის დანართს;

მუხლი 13. პოლისის მოქმედების შეწყვეტა და ხელშეკრულებაზე უარი

13.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გარეშე დაზღვევის პოლისის მოქმედება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს წერილობითი შეტყობინების გაკეთების გზით:

13.1.1. დაზღვევის პოლისით განსაზღვრული ვადის განმავლობაში პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ამოწურვა;

13.1.2. დამზღვევის მიერ პოლისით გათვალისწინებულ ვადებში სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში;

13.1.3. დამზღვევის ლიკვიდაციის გამო, გარდა დამზღვევის რეორგანიზაციის (გაერთიანების, შერწყმის და ა.შ.) დროს დაზღვევის პოლისში დამზღვევის შეცვლისა;

13.1.4. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და შეწყდა სადაზღვევო რისკის არსებობა ნებისმიერი გარემოებებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევისა;

13.1.5. სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევაში დამზღვევის მიერ დამატებითი პრემიის გადახდაზე უარის თქმის გამო;

13.2. დაზღვევის პოლისის წინამდებარე პირობების 13.1. მუხლით გათვალისწინებული ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დაიტოვოს სადაზღვევო პრემიის ნაწილი იმ დროის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა;

13.3. დაზღვევის ხელშეკრულებაზე დამზღვევის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მზღვეველისათვის გადახდილი სადაზღვევო პრემია დამზღვევს არ უბრუნდება, თუ დაზღვევის პოლისით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

13.4. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს წერილობით აცნობონ დაზღვევის პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აღნიშნულ შეწყვეტამდე არაუგვიანეს 30 დღისა, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარდა 13.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 14. სადაზღვევო აქტი

14.1. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეადგინოს სადაზღვევო აქტი 30 დღის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველი მიიღებს დამზღვევისაგან სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებისა, ზიანის ოდენობის და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის განსაზღვრისათვის და დასადგენად აუცილებელ ყველა დოკუმენტსა და სხვა ინფორმაციას წინამდებარე პირობების 16.8. მუხლის შესაბამისად;

მუხლი 15. დამზღვევის ვალდებულებების შესახებ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

15.1. სადაზღვევო შემთხვევის ან იმ გარემოებების დადგომისას, რომლებმაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიონ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა, აგრეთვე მუშაკის ან მესამე პირისაგან პრეტენზიის (სასარჩელო განცხადების) მიღებისთანავე, დამზღვევი ვალდებულია:

15.1.1. დაუყოვნებლივ მოახდინოს დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და მათი გადაყვანა სასწრაფო დახმარების ან სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში;

15.1.2. დაუყოვნებლივ აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და მზღვეველს. თითოეული ჯგუფური (ორი და მეტი დაზარალებული) უბედური შემთხვევის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინვალიდობა და ისეთი უბედური შემთხვევის შესახებ, რომელმაც გამოიწვია მუშაკის სიკვდილი, დამზღვევმა **ოცდაოთხი საათის განმავლობაში** უნდა აცნობოს:

- შრომის ინსპექციას;
- პროკურატურას უბედური შემთხვევის ადგილის მიხედვით;
- სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, თუ უბედური შემთხვევა მოხდა აღნიშნული ორგანოს კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტზე;
- ორგანიზაციას, რომელმაც გამოაგზავნა მუშაკი, რომელსაც შეემთხვა უბედური შემთხვევა;
- სხვა ორგანოებს, რომელთათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან დაზღვევის ხელშეკრულებით;

15.1.3. უზრუნველყოს უბედური შემთხვევის გარემოებებისა და მიზეზების გამოძიების დაწყებამდე სამუშაო ადგილისა და დანადგარების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომელშიც ისინი იყვნენ შემთხვევის დადგომის მომენტში (თუ აღნიშნული არ უქმნის საფრთხეს მუშაკთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არ გამოიწვევს ავარიას);

15.1.4. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სადაზღვევო შემთხვევის მიზეზების, მიმდინარეობისა და შედეგების დასადგენად;

15.1.5. თუ მზღვეველი აუცილებლად ჩათვლის თავისი ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნას როგორც მზღვეველის, ისე დამზღვევის ინტერესების სასამართლოს ან სასამართლოს გარეშე დაცვას, აღმოუჩინოს მას შესაძლო დახმარება ამ მიზნით;

15.1.6. არ გადაიხადოს ანაზღაურება, არ აღიაროს ნაწილობრივ ან მთლიანად დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით წაყენებული მოთხოვნების, აგრეთვე არ აიღოს რაიმე ვალდებულება აღნიშნული პრეტენზიების დარეგულირების მიზნით მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.1.7. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა უზრუნველყოს მზღვეველის მოთხოვნა მესამე პირებისადმი, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე;

15.1.8. საწარმოში უბედური შემთხვევის გამოძიების დასრულებისთანავე წარუდგინოს მზღვეველს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ფორმით შედგენილი საპრეტენზიო დოკუმენტები;

15.1.9. დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა ზომა დამდგარი ზიანის თავიდან ასაცილებლად, ასევე ასეთი ზიანის მოცულობის შესამცირებლად. თუკი ეს ვალდებულება დამზღვევის მიერ ბრალეულად არ სრულდება, ასეთ შემთხვევაში *მზღვეველს უფლება აქვს შეამციროს გადასახდელი სადაზღვევო თანხის ოდენობა დამზღვევის ბრალის პროპორციულად*.

მუხლი 16. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

16.1. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს (მუშაკს ან მის უფლებამონაცვლეს) გადაუხადოს სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველისა და დამზღვევის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერის დღიდან 30 დღის ვადაში;

16.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება დამზღვევის მიერ მისი მუშაკისათვის მიყენებული ზიანის ფაქტიური ანაზღაურების შემდეგ. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების უშუალოდ მუშაკის ან მისი მემკვიდრეების სასარგებოდ გაცემა, იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს გააჩნია პრეტენზიასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტი და მზღვეველი თანახმაა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

16.3. გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა მოიცავს:

16.3.1. *სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში*: კომპენსაციას მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობით იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ანაზღაურდება სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ; კერძოდ:

ა/ ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობის ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შედეგად. მიუღებელი ხელფასის (შემოსავლის) ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად;

ბ/ დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების შესყიდვის, პროტეზირების, გარე მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო სამუალების შეძენის, სხვა პროფესიისათვის მომზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ/ ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ დაზარალებულის რჩენაზე ან უფლება ჰქონდათ მისგან მიეღოთ სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

შენიშვნა: დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, აგრეთვე მისი მემკვიდრეებისათვის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე პირობების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე სოციალური დაზღვევის თანახმად ეკუთვნის მოსარგებლეს ან მის მემკვიდრეებს.

16.3.2. *ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში*: მუშაკის პირადი ქონებისათვის მიყენებულ ზიანს პირდაპირი რეალური ზიანის ოდენობით;

16.3.3. დაზღვევის პოლისით დადგენილი პასუხისმგებლობის (მათ შორის ლიმიტების) ფარგლებში სასამართლო ხარჯებს, თუ ზიანის ანაზღაურებაზე მზღვეველის პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებების და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები, ასევე ის ხარჯები, რაც გაწეულ იქნა დამზღვევის მიერ ზიანის თავიდან ასაცილებლად ან/და მოცულობის შესამცირებლად;

16.3.4. ზიანის ასანაზღაურებელი თანხა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს მისი გადახდა დაზარალებულის ბრალის (მათ შორის უხეში გაუფრთხილებლობის) დადგენის შემთხვევაში;

16.4. ერთი და იგივე სადაზღვევო შემთხვევისას მესამე მხარისადმი მიყენებული ყველა ზარალის ასანაზღაურებელი თანხა, დამზღვევის მიერ ზარალის შესამცირებლად გაწეული ხარჯების ჩათვლით, თუ კი ასეთი ხარჯების ანაზღაურება გათვალისწინებულია სადაზღვევო ხელშეკრულებით, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას (პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს);

16.5. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის გამოკლებით;

16.6. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში სადაზღვევო პრემია არ არის მთლიანად გადახდილი გადასახდელი ანაზღაურების თანხიდან გამოიქვითება გადასახდელი პრემიის გადაუხდელი ოდენობა (პრემიის გადახდის ვადის დადგომის მიუხედავად);

16.7. სადაზღვევო ანაზღაურების შემდგომი გადათვლა, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის შრომისუნარიანობის პროგრესირებადი შემცირებით ან მისი გარდაცვალებით, რომელიც გამოწვეულია იმავე სადაზღვევო შემთხვევით, ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის პოლისით დადგენილ სადაზღვევო თანხას (პასუხისმგებლობის ლიმიტს);

16.8. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის თაობაზე მზღვეველისათვის წაყენებული პრეტენზიის საფუძვლიანობა უნდა დასაბუთდეს შემდეგი დოკუმენტებით:

16.8.1. დაზღვევის პოლისი;

16.8.2. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სადაზღვევო პრემიის გადახდას;

16.8.3. დამზღვევის (მუშაკის) განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოთხოვნის შესახებ (ნებისმიერი ფორმის ოღონდ წერილობით);

16.8.4. უბედურ შემთხვევასთან ან დაკავშირებით თითოეული დაზარალებულისათვის ცალკე შედგენილი აქტი;

16.8.5. სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოკსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ ზიანის დადგომის მომენტისათვის;

16.8.6. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, აგრეთვე აღნიშნულთან დაკავშირებით დამზღვევის ხარჯებს: დამსაქმებლის ბრძანება, განკარგულება ან დადგენილება ზიანის ანაზღაურების მიმღებთა და ოდენობის შესახებ, სპეციალიზირებული სამსახურების (სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და სხვა) დადგენილებები, სამედიცინო, სხვა მომსახურებებისა და ხარჯების ანგარიშები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულების ან მათი მემკვიდრეებისათვის გადახდილი თანხის ოდენობას და ა.შ.

16.8.7. სოციალური დაზღვევის ორგანოების დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის საწარმოში უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელ გადახდის ოდენობას;

16.8.8. დამსაქმებლის პასუხისმგებლობის და დამქირავებლის მიერ მუშაკთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით. ხოლო თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი;

16.8.9. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის, რასაც განსაზღვრავს მზღვეველი საჭიროების მიხედვით;

შენიშვნა: სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, ასევე დამსაქმებლის და მუშაკის შეთანხმება, რომლის საფუძველზედაც მოხდა მუშაკისათვის ზიანის ანაზღაურება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს მზღვეველისათვის.

16.9. თუ ზარალების დარეგულირება ხდება ქონებრივი პრეტენზიის საფუძველზე, მზღვეველი უფლებამოსილია ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომლისთვისაც შეუძლია მოითხოვოს კონკრეტულ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ გაცემული, ყველა საჭირო დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა შესაბამისი დასკვნის მიღებამდე;

16.10. სადაზღვევო აქტს ხელი უნდა მოეწეროს არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა მას შემდეგ, რაც მზღვეველს წარედგინა 16.8. მუხლით განსაზღვრული ყველა აუცილებელი საბუთი. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხორციელდება სადაზღვევო აქტის ორივე მხარის მიერ ერთობლივად შედგენიდან 30 დღის განმავლობაში, თუკი დაზღვევის პოლისით არ არის შეთანხმებული დროის სხვა პერიოდი;

16.11. დამზღვევი და მუშაკი, რომლებსაც მიღებული აქვთ სადაზღვევო ანაზღაურება, ვალდებულნი არიან დაუბრუნონ მზღვეველს მიღებული თანხები (ან მათი შესაბამისი ნაწილი) იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელიც კანონმდებლობის ან წინამდებარე წესების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ ართმევს მათ უფლებას სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე და, რომლის ცოდნის შემთხვევაშიც გაცემული იქნებოდა სადაზღვევო ანაზღაურება ნაკლები ოდენობით, ან არ იქნებოდა გაცემული საერთოდ;

16.12. თუ ზიანის მიყენების მომენტში აღმოჩნდება, რომ დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკი ასევე დაზღვეულია სხვა სადაზღვევო კომპანიებში (ორმაგი დაზღვევა), მზღვეველი იხდის სადაზღვევო ანაზღაურებას ნაწილობრივ აღნიშნული რისკის დაზღვევის ყველა პოლისით პასუხისმგებლობის საერთო ლიმიტში მზღვეველის მიერ გაცემული პოლისით შესაბამისი პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის პროპორციულად.

მუხლი 17. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება

17.1. მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებს:

17.1.1. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის მიერ განზრახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;

17.1.2. მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის შესახებ ინფორმაციის იმ ვადებში მიუწოდებლობა, რომელიც შეთანხმებულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დგინდება, რომ მზღვეველმა თავის დროზე გაიგო მომხდარი სადაზღვევო შემთხვევისა ან/და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის შესახებ. ასევე, როდესაც დამზღვევი უხეშად არღვევს წინამდებარე პირობებით, კანონმდებლობითა და პოლისით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს იმგვარად, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას მზღვეველის მიერ სრული ინფორმაციის მიღებას;

17.1.3. დამზღვევმა განზრახ არ მიიღო ზარალის შესამცირებლად მისთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის ან მისი ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი;

17.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი დამზღვევს წარედგინება წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი უნდა იყოს ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზები;

17.3. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის განცხადება შეიძლება გასაჩივრდეს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. დავების განხილვის წესი

18.1. დამზღვევსა და მზღვეველს შორის წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

18.2. იმ შემთხვევაში, თუკი დამზღვევის ან მუშაკის მიერ წარმოდგენილი განაცხადი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ არასრულყოფილი ან არასაკმარისია ან/და ეჭვს იწვევს მისი დასაბუთებულობა ან რომელიმე მონაცემის სისწორე, ასეთ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მიმართოს დამოუკიდებელ ექსპერტს (სათანადო ცოდნის მქონე პირს ან დაწესებულებას) საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტილების მისაღებად დამზღვევის დასაბუთებული განაცხადის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1. წინამდებარე პირობები წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თუკი საკამათოა წინამდებარე პირობების რომელიმე დებულების შინაარსი და მისი გაგების თვალსაზრისით შეიქმნება აშკარა სირთულე (მგომარეობა, როდესაც ინტერპრეტაციის მიზნით გაცხადებული არც ერთი ვერსია არ არის სრულად დამაჯერებელი და არ იქნება გამორიცხული ალტერნატიული/საწინააღმდეგო ვერსიის არსებობის შესაძლებლობა), ასეთ შემთხვევაში ბუნდოვან დებულებას უნდა მიეცეს ის ინტერპრეტაცია, რომელიც ხელსაყრელია დამზღვევისათვის, იმ პირობით, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია დასაბუთებული იქნება, არ იარსებებს ამ ინტერპრეტაციის გამომრიცხველი არგუმენტაცია. ეს წესი არ ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც დადგენილია წინამდებარე პირობების კონკრეტული დებულების შინაარსი, მაგრამ საკამათოა მხარეთა შორის მათ შესაბამისად შესაფასებელი რეალური ფაქტებისა და გარემოებების ნამდვილობა. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მხარეებზე ნაწილდება საერთო წესით. ეს წესი არ ვრცელდება იმ დებულებებზე, რომელიც მხარეთა შორის იქნება განსაზღვრული წინამდებარე პირობებისაგან განსხვავებული წესით.